ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის

Rural Small & Medium Enterprises Development Georgia

# ტექნიკური დავალება (ToR)

## ტრენერი: „მსს ფასს სტანდარტის“ სატრენინგო მასალების ხარისხის კონტროლი და ტრენერთა ტრენინგის (ToT) ჩატარება

## 1 კონტექსტი

რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტი (RSMEDP) არის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მხარდაჭერა წარმოადგენს. პროექტს ახორციელებს Swisscontact-ის (წამყვანი), Mercy Corps-ისა და Springfield Center-ის კონსორციუმი.

ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა, რასაც საქართველოში ზედამხედველობას უწევს **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS)**. SARAS-ის როლია უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა და სანდოობა, რაც თავის მხრივ ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური მდგომარეობის ზუსტ შეფასებაში, სწორი ბიზნეს-გადაწყვეტილებების მიღებასა და ინვესტიციებისა თუ საბანკო დაფინანსების მოზიდვაში.

ვინაიდან „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში“ (მსს ფასს სტანდარტი / IFRS for SMEs Standard) 2025 წელს შევიდა ფუნდამენტური ცვლილებები (მათ შორის ფინანსური ინსტრუმენტების, იჯარების, შემოსავლების აღიარების კუთხით), მიმდინარეობს სატრენინგო მასალების (დაახლოებით 1200-1300 გვერდი) თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე.

ამ პროცესის სრულყოფილად სამართავად, პროექტი ეძებს კვალიფიციურ **მთავარ ტრენერს**, რომელიც უზრუნველყოფს ნათარგმნი მასალის ტერმინოლოგიური სიზუსტის კონტროლს და წლის ბოლომდე ჩაატარებს ტრენერთა ტრენინგს (ToT) ადგილობრივი ტრენერების მომზადების მიზნით.

## 2 დავალება

### *2.1 მიმოხილვა და მიზანი*

მომსახურების მიზანია ორმხრივი ფუნქციის შესრულება: **ხარისხის უზრუნველყოფა (QA)** თარგმნის პროცესში და **ცოდნის გადაცემა (ToT)** ტრენერებისთვის.

### *2.2 ნათარგმნი მასალის პერიოდული რევიზია და ხარისხის დადასტურება*

სათარგმნი მასალების სავარაუდო ჯამური მოცულობა შეადგენს **1200–1300 სტანდარტულ გვერდს** (პრეზენტაციები, გზამკვლევები, ქეისები, დამხმარე მეთოდოლოგიური მასალები და სავარჯიშოები).

კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:

- თარჯიმნის/თარჯიმნების/მთარგმნელობითი კომპანიის მიერ 3–4 თვის განმავლობაში ეტაპობრივად მოწოდებული ნათარგმნი მასალების (პრეზენტაციები, გზამკვლევები, ქეისები) შინაარსობრივი, პროფესიული და ტერმინოლოგიური გადამოწმება.
- თარგმანის შესაბამისობის უზრუნველყოფა SARAS-ის მიერ აღიარებულ ოფიციალურ ტერმინოლოგიასთან და მსს ფასს სტანდარტის უახლეს განახლებებთან.
- მჭიდრო თანამშრომლობა პროექტის ტექნიკურ გუნდთან* და მთარგმნელებთან სადავო ან ახალი ფინანსური ტერმინების დასაზუსტებლად.

**პროექტის ტექნიკური გუნდი წინასწარ არის განსაზღვრული და შედგება სარასის თანამშრომლებისგან.*

### *2.3 ტრენერთა ტრენინგის (ToT) მომზადება და ჩატარება*

- სასწავლო მასალების საბოლოო ვერსიის დამტკიცების შემდეგ, ტრენერთა ტრენინგის (ToT) სილაბუსისა და დღის წესრიგის შემუშავება.
- რეგიონული და ადგილობრივი ტრენერებისთვის რამდენიმედღიანი ინტენსიური ტრენინგის ჩატარება ქალაქ თბილისში წლის ბოლომდე.
- ტრენინგის მონაწილეთა შეფასება და მათთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

## 3 მისაღწევი შედეგები და ვადები

### *3.1 დავალება და შედეგები*

სამუშაო პროცესი განხორციელდება ეტაპობრივად, თარგმანის მიღების გრაფიკის პარალელურად:

| # | მისაღწევი შედეგი | სავარაუდო ვადა |
|---|---|---|
| 1 | საწყისი ტერმინოლოგიური გლოსარიუმის რევიზია და შეთანხმება მთარგმნელობით გუნდთან და SARAS-თან. | კონტრაქტის გაფორმებიდან 2 კვირაში |
| 2 | ნათარგმნი მასალების შუალედური პაკეტების (პრეზენტაციები, ქეისები) პერიოდული რევიზია და ხარისხის დადასტურების ანგარიშები. | ყოველთვიურად (2-3 თვის განმავლობაში) |
| 3 | სრული სატრენინგო პაკეტის (1200-1300 გვერდი) საბოლოო შინაარსობრივი ვერიფიკაცია და დამტკიცება. | მასალების თარგმნის დასრულებისთანავე |

| | | |
|---|---|---|
| 4 | ToT პროგრამის/დღის წესრიგის შემუშავება და ტრენერთა ტრენინგის ჩატარება თბილისში (რამდენიმე დღიანი ფორმატი). | წლის ბოლომდე (მასალების ჩაბარების შემდეგ) |
| 5 | საბოლოო ანგარიში ToT-ის შედეგებისა და მონაწილეთა შეფასების შესახებ. | ტრენინგის დასრულებიდან 1 კვირაში |

*შენიშვნა: სამუშაოს შესრულების საბოლოო ვადა და შუალედური ეტაპები დაზუსტდება კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმებისას.*

# 4 შერჩევის კრიტერიუმები და კომპეტენციები

## *4.1 შერჩევის კრიტერიუმები*

აპლიკანტი ჩაითვლება შეუთავსებლად და წინადადება არ განიხილება, თუ:

- აპლიკანტი ნასამართლევია უკანონო ან კორუფციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევებზე, ან გამოვლენილია არაპროფესიული ქცევის ფაქტები;
- აპლიკანტებს არ აქვს შესრულებული საგადასახადო ვალდებულებები;
- აპლიკანტი შეყვანილია რომელიმე სანქცირებულ პირთა სიაში.

## *4.2 საკვალიფიკაციო მოთხოვნები*

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- **განათლება**: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ფინანსებში, ბუღალტერიაში, აუდიტში ან მომიჯნავე სფეროში (სასურველია საერთაშორისო პროფესიული სერტიფიკატი, მაგ. ACCA).
- **სავალდებულო სპეციფიკური გამოცდილება:** აპლიკანტს გავლილი უნდა ჰქონდეს SARAS-ისა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებული მსს ფასს (IFRS for SMEs) სტანდარტის განახლების ტრენერთა ტრენინგის (ToT) პირველი ეტაპი (ინგლისურენოვანი კურსი). *(შენიშვნა: მოცემული კრიტერიუმი გადამოწმდება პროექტის მიერ ორგანიზატორთა შიდა ბაზაზე დაყრდნობით )*
- **პროფესიული გამოცდილება:** მინიმუმ 5-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება ფინანსური ანგარიშგების, აუდიტისა და ფასს სტანდარტების გამოყენების მიმართულებით.
- **ტრენერული გამოცდილება:** ფინანსურ და საბუღალტრო თემებზე მაღალი დონის ტრენინგების (განსაკუთრებით ToT ფორმატის) ჩატარების გამოცდილება.
- **ენობრივი კომპეტენცია**: ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილი ფლობა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ტერმინოლოგიის ცოდნა.

# 5 წარსადგენი დოკუმენტები

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- **პროფესიული რეზიუმე (CV),** სადაც მკაფიოდ იქნება ნაჩვენები შესაბამისი ToT-ის პირველი ეტაპის გავლა და ტრენერული გამოცდილება.

- **ფინანსური წინადადება** (დღიური ტარიფი, დღგ-ის გარეშე)
- **მოკლე ხედვა/სამუშაო გეგმა** (მთარგმნელობით გუნდთან პერიოდული თანამშრომლობისა და ToT-ის ეფექტურად ჩატარების სტრატეგია)

გთხოვთ, რეზიუმე გამოგვიგზავნოთ არაუგვიანეს 2026 წლის **23 ივლისისა** 17:00 საათამდე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info.georgia@swisscontact.org სათაურით: **ტრენერი: მსს ფასს სტანდარტის ToT და ხარისხის კონტროლი**